სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05.04/374

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო
თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ[2] ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ[5]-ე ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ნ[1]-ე ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დებულების, ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება			
1	მეცნიერ თანამშრომელი	1	ინფორმატიკოსი, პროგრამისტი, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ბოლო სამი წლის მანძილზე 1 სამეცნიერო ნაშრომი მაინც.

ვ. ჭავჭანიძის სახელობის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილება			
1	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	1	მათემატიკოსი, პროგრამისტი
2	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	0,5	საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი **უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:** გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 1 მაინც რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

3. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) მიერ ამ დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდური მედიის საშუალებით და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე